მოთხრობები ფასეულობითი განათლებისათვის

წიგნი მეორე:

აბა, ვის ვეთამაშო? **3**
დანართი მასწავლებლისა და მშობლის გვერდი **33**
მტირალა ზაზღუ **34**
დანართი მასწავლებლისა და მშობლის გვერდი **68**

ავტორი: თეა ლობჟანიძე
მხატვარი: ია სარალიძე
კორექტორი: ნინო ლარცულიანი
დიზაინი და დაკაბადონება: გელა ბაბაკიშვილი

ISBN 978-9941-0-1213-6 (ყველა წიგნის)
ISBN 978-9941-0-1215-0 (მეორე წიგნის)

„მოთხრობები ფასეულობითი განათლებისათვის" მომზადდა პროექტის
„ფასეულობები ძალადობის წინააღმდეგ" ფარგლებში.
პროექტის განმხორციელებელი: **სიქა - საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია**

ფინანსური უზრუნველყოფა: ევროკავშირის მიანდობილობის ფონდი Sida

გრანტი №G08 - 0130

© თეა ლობჟანიძე 2009
© სიქა - საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია 2009
მისამართი: რუსთავი, მეგობრობის გამზ. 12/56.
ტელეფონი: 824 15 13 58
info.siqa@gmail.com
www.siqa.org.ge
დაიბეჭდა შპს „პოლიგრაფში"

ეძღვნება ლალის, მარის, ლუკას, თეკლას, ბარბარეს, გიორგის, ანდრიას, ანას, ლაშას და ყველა იმ ბავშვს, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს და გააფერადებს.

ავტორი

მოთხრობები ფასეულობითი განათლებისათვის

აბა, ვის ვეთამაშო?

ავტორი თეა ლობჟანიძე
მხატვარი ია სარალიძე

მოთხრობა „აბა ვის ვეთამაშო“ და მოცემული აქტივობები დაეხმარება მასწავლებელს გამართოს დისკუსია ბავშვებთან თემაზე: რას ნიშნავს იყო **განსხვავებული** და რა მოხდებოდა ყველა ერთნაირი რომ იყოს.

დისკუსიისათვის იხ. დანართი
მასწავლებლისა და მშობლის გვერდი.

რუსთავი, 2009

ბაჭია დილიდან მარტოა და ძალიან მოიწყინა.



– რა კარგია მეგობართან თამაში, მარტომ რა უნდა ვაკეთო?
– გაიფიქრა ბაჭიამ და მეგობრის მოსაძებნად გაეშურა.

ბაჭიამ იარა, იარა და გზად წრუწუნა შემოხვდა.
– მოდი, ჩემთან ითამაშე, მეც მარტო ვარ და მოვიწყინე, – სთხოვა წრუწუნამ.

– რაო-რაო? ვითამაშოთ?! შენ შავი ფერის ხარ და ჩემსავით ვერ დახტი,
არა, არა, სულ არ ვგავართ ერთმანეთს!
ბაჭია რომ იყო, გეთამაშებოდი, შენ კი ბაჭია არ ხარ! – უთხრა ბაჭიამ და გზა განაგრძო.

ბაჭიამ იარა, იარა და გზად ჭიანჭველა შემოხვდა.
– მოდი, ჩემთან ითამაშე, მეც მარტო ვარ და მოვიწყინე, – სთხოვა ჭიანჭველამ.



– რაო-რაო? ვითამაშოთ?! ისეთი პატარა ხარ, ვერც კი გხედავ.
ბალახის ღერო შენზე მაღალია, ჩემსავით ვერ დახტი.



– არა, არა, სულ არ ვგავართ ერთმანეთს! ბაჭია რომ იყო, გეთამაშებოდი, შენ კი ბაჭია არ ხარ! – უპასუხა ბაჭიამ და გზა განაგრძო.

ბაჭიამ იარა, იარა და გზად კუ შემოხვდა.
– მოდი, ჩემთან ითამაშე, მეც მარტო ვარ და მოვიწყინე, – სთხოვა კუმ.

– რაო-რაო? ვითამაშოთ? ისე ნელა დადიხარ, შენთან თამაში
უფრო მოსაწყენი იქნება, შენი ლოდინით დავიღლები.
ჩემსავით ვერ დახტი.

– არა, არა, სულ არ ვგავართ ერთმანეთს! ბაჭია რომ იყო, გეთამაშებოდი, შენ კი ბაჭია არ ხარ! – უთხრა ბაჭიამ და გზა განაგრძო.



ბაჭიამ იარა, იარა და გზად სპილო შემოხვდა.
– მოდი, ჩემთან ითამაშე, მეც მარტო ვარ და მოვიწყინე, – სთხოვა სპილომ.



– რაო-რაო? ვითამაშოთ? მე მეგობარს ვეძებ, ჩემსავით ლამაზსა და კოხტას. შენ კი გრძელი ცხვირი გაქვს და მსუქანი ხარ! ჩემსავით ვერ დახტი.



– არა, არა, სულ არ ვგავართ ერთმანეთს! ბაჭია რომ იყო, გეთამაშებოდი, შენ კი ბაჭია არ ხარ! – უთხრა ბაჭიამ და გზა განაგრძო.

ბევრი იარა ბაჭიამ ტყეში, მაგრამ თავისი მოსაწონი მეგობარი ვერსად იპოვა. ის იყო ჩრდილში ხის ძირას დასვენებას აპირებდა, რომ...

ბაჭია მონადირის მიერ გათხრილ ორმოში ჩავარდა. ორმო ზემოდან ბალახით იყო დაფარული და ბაჭიამ საფრთხე ვერ შეამჩნია.



ბევრი ეცადა ბაჭია ორმოდან ამოსვლას: იხტუნა, იხტუნა, მაგრამ ორმო ღრმა იყო და ამოსვლა ვერ მოახერხა. ბაჭიას ძალიან შეეშინდა და ტირილი დაიწყო.



– რატომ ტირი ბაჭია? — ჰკითხა ჭიანჭველამ.
– შენ აქ რა გინდა? – გაუკვირდა ბაჭიას.
– ამ ორმოში ხშირად ჩამოვდივარ, საკვების შესაგროვებლად. – უპასუხა ჭიანჭველამ.



– მე ორმოდან ვერასოდეს ამოვალ. მალე მონადირე მოვა, დამიჭერს, ტყავს გამაძრობს, შემბრაწავს და შემახრამუნებს.
— თქვა ბაჭიამ.

– ნუ გეშინია, ბაჭია, მე დაგეხმარები! – დაამშვიდა ჭიანჭველამ. ჭიანჭველა ბალახის ღეროზე პატარა იყო და არც ხტუნვა შეეძლო, მაგრამ ორმოდან ამოსვლა არ გასჭირვებია.

ჭიანჭველა წრუწუნასთან მივიდა და ბაჭიას გასაჭირი უამბო:
– თუ არ ვიჩქარეთ, მალე მონადირე მოვა, ბაჭიას დაიჭერს, გაატყავებს, შებრაწავს და შეახრამუნებს!



წრუწუნას შეეცოდა ბაჭია და კუსთან წავიდა დახმარების სათხოვნელად.
– თუ არ ვიჩქარეთ, მალე მონადირე მოვა, ბაჭიას დაიჭერს, გაატყავებს, შებრაწავს და შეახრამუნებს!



კუს შეეცოდა ბაჭია და მეზობელ სპილოსთან წავიდა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ სპილო შინ არ დახვდა.



– ალბათ, მდინარეზე წავიდა საბანაოდ, – გაიფიქრა კუმ და სანაპიროსაკენ გასწია.
სპილო სიცხეს შეეწუხებინა და მდინარეში გრილდებოდა.

კუმ სპილოს ბაჭიას გასაჭირი უამბო.
– თუ არ ვიჩქარეთ მალე მონადირე მოვა, ბაჭიას დაიჭერს, გაატყავებს, შებრაწავს და შეახრამუნებს!

სპილო კეთილი იყო, შეეცოდა ბაჭია და მის დასახმარებლად გამოეშურა. ცხოველები ორმოს მიუახლოვდნენ. კუ, ჭიანჭველა და წრუწუნა ორმოსთან დადგნენ.



სპილომ თავისი გრძელი ცხვირი ორმოში ჩაუშვა. ბაჭია ზედ შეისვა
და ზევით ამოიყვანა.
ბაჭიას ძალიან შერცხვა თავისი საქციელის გამო.

– მაპატიეთ! გთხოვთ, მაპატიეთ! თქვენ რომ არა, მონადირე წამიყვანდა სახლში და მისი ცოლი ჩემგან გემრიელ კერძს დაამზადებდა.

– მარტო ბაჭიებთან მეგობრობა სულაც არ ყოფილა საინტერესო, – თქვა ბაჭიამ.
– ჩვენ ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულები ვართ, — დაეთანხმნენ ცხოველები.



რა კარგია, რომ ერთად ვართ! – თქვა გახარებულმა ბაჭიამ და ერთგული მეგობრები შინ სადილად დაპატიჟა.



იმ დღეს კუმ, ჭიანჭველამ, სპილომ და წრუწუნამ ბაჭიასთან გემრიელად ისადილეს და ერთად კარგი დრო გაატარეს.

ჩვენ ერთმანეთისაგან განვსხვავდებით

კითხვები დისკუსიისათვის:

1. რატომ იყო მოწყენილი ბაჭია?
2. ვის მოსაძებნად გაეშურა ბაჭია?
3. რომელი ცხოველები შემოხვდა ბაჭიას?
4. რა უპასუხა წრუწუნას, ჭიანჭველას, კუს და სპილოს?
5. ვინ დაეხმარა ბაჭიას ორმოდან ამოსვლაში?
6. რატომ გაუხარდა ბაჭიას განსხვავებულები რომ იყვნენ ერთმანეთისაგან?
7. განვსხვავდებით თუ არა ჩვენ ადამიანები ერთმანეთისაგან და რით?

წაახალისეთ ბავშვები და ჩამოწერეთ დაფაზე მათი ყველა პასუხი

მაგ: ვლაპარაკობთ სხვადასხვა ენაზე;

ვმღერით, ვცეკვავთ და მივირთმევთ განსხვავებულ კერძებს.

ჰკითხეთ ბავშვებს:

1. ვის უყვარს ცისარტყელა?
2. რატომ არის ცისარტყელა ლამაზი?
3. რამდენი ფერი აქვს ცისარტყელას?
4. ერთი ფერის რომ იყოს ცისარტყელა, მაგ: მხოლოდ ყვითელი, უფრო ლამაზი იქნებოდა?
5. როგორი იქნებოდა სამყარო ყველა ადამიანი ერთმანეთს რომ ჰგავდეს?

უთხარით ბავშვებს:

კაცობრიობა ჰგავს ცისარტყელას. თითოეული კულტურა, ერი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ყოველი ფერი ცისარტყელაში.

სთხოვეთ ბავშვებს გაიხსენონ იმ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. წაახალისეთ ბავშვები, რაც შეიძლება მეტი რამ თქვან თითოეული კულტურის შესახებ. (ცეკვა, სიმღერა, კერძების რეცეპტები, ეროვნული კოსტუმები, ზღაპრები).

დისკუსიის შემდეგ, სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ დიდი ცისარტყელა, რომელსაც კედელზე მოათავსებენ.

აქტივობა:

სთხოვეთ ბავშვებს, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა კულტურების შესახებ, სასურველია მშობლების დახმარება, განსაზღვრული დროის განმავლობაში (ეს შეიძლება იყოს ერთი თვე), ბავშვები აგროვებენ მასალებს, ესენია: ეროვნული კერძების რეცეპტები, ეროვნული დღესასწაულები, კოსტუმების ესკიზები.

პერიოდულად განალაგეთ მახასიათებლები ცისარტყელაზე. როდესაც კლასში ცისარტყელა სათანადოდ შეივსება ფოტოებით, თუ სხვადასხვა მოძიებული ინფორმაციით, მოაწყვეთ ცისარტყელას პრეზენტაცია.

მოიწვიეთ მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და სხვა სტუმრები.

პრეზენტაციის დროს შეიძლება მომზადდეს კერძები, ბავშვებმა იმღერონ და შეასრულონ ცეკვები იმ კულტურებიდან, რომლებიც ცისარტყელაზეა განლაგებული.

მტირალა ზაზღუ

ავტორი თეა ლობჟანიძე
მხატვარი ია სარალიძე

მოთხრობა „მტირალა ზაზღუ“ და მოცემული აქტივობები დაეხმარება მასწავლებელს გამართოს დისკუსია ბავშვებთან თემაზე: რა არის **პატივისცემა**, როდის ვიმსახურებთ პატივისცემას და რატომ არის პატივისცემა მნიშვნელოვანი.

დისკუსიისათვის იხ. დანართი
მასწავლებლისა და მშობლის გვერდი (გვ. 68)



დილით ადრე ზაზღუმ სარკეში ჩაიხედა და ატირდა.



– იიი!.. რატომ ვარ ასეთი მახინჯი?!
– შენ ლამაზი და საყვარელი ზღარბი ხარ! – უთხრა დედამ.



– სულაც არა, ჩემზე მახინჯი და ეკლიანი არავინაა!
– აბუზღუნდა ზაზღუ და სოროდან გამოძვრა.

მიდის ტყეში ზაზღუ და ხმამაღლა ტირის.
– რატომ ვარ ზღარბი? არ მომწონს ტანზე ეკლები, რომ მაქვს!



ზაზღუს ტირილმა ტყის ცხოველები გამოაღვიძა.
– რა მოგივიდა? რატომ ტირი? – ჰკითხა ციყვმა.



– ოოო! რა ლამაზი ბეწვი გაქვს, როგორი ფუმფულა ხარ!
მე კი ტანზე მხოლოდ საშინელი ეკლები მაქვს, ვიჩხვლიტები!

– ნეტავ, ციყვი ვიყო! – ინატრა ზაზღუმ და კიდევ უფრო ხმამაღლა ატირდა.



– რა მოგივიდა? რატომ ტირი? – ჰკითხა ირემმა.

– რა ლამაზი რქები გაქვს! ნეტავ, მეც ირემი ვიყო!
– რქები თუ არ ამოგდის, ირემი როგორ იქნები?



– რატომ, რატომ არ უნდა ამომდიოდეს რქები?! – გული დასწყდა ზაზღუს და ტირილს მოუმატა.



– რა მოგივიდა? რატომ ტირი? – ჰკითხა პეპელამ.



– ოოო! რა მშვენიერი ჭრელი ფრთები გაქვს და დაფრინავ!
მე კი ტანზე მხოლოდ საშინელი ეკლები მაქვს, ვიჩხვლიტები!



– ნეტავ, მეც პეპელა ვიყო!
– ფრთები თუ არ გაქვს, პეპელა ვერ იქნები!

– რატომ, რატომ არ უნდა მქონდეს შენსავით ჭრელი ფრთები?
არც ფრენა შემიძლია, რა უბედური ვარ! იიი!..



– რა მოგივიდა, რატომ ტირი? – ჰკითხა ფარშევანგმა.



– ოოო! რა ლამაზი ბუმბულის კუდი გაქვს! მე კი ტანზე
მხოლოდ საშინელი ეკლები მაქვს, ვიჩხვლიტები!



– ნეტავ, მეც ფარშევანგი ვიყო!
– კუდი თუ არ გაქვს, ფარშევანგი როგორ იქნები?



– არც რქები მაქვს, არც ფუმფულა ბეწვი,
არც ჭრელი ფრთები და არც ბუმბულის კუდი.

– ჩემზე მახინჯი არავინაა! – დარწმუნდა ზაზღუ და ის იყო, კვლავ ტირილს აპირებდა, რომ განგაშის ხმა შემოესმა.

– მიშველეეთ! მიშველეეთ! მი... შვეე...ლეეთ! – ტყეში ამ დროს, აი, რა ხდებოდა.



მინდორში დედა ჩიტი თავის პატარა ბარტყებს გადაჰფარებოდა.
გველი კი მისკენ მისრიალებდა.

– სსს! ბარტყებს გადავსანსლავ და ბოლოს შენც შეგჭამ! – გველი დედასა და პატარა ბარტყებს ემუქრებოდა.

– მე, მე... ე...ე... გველის ძალიან მეშინია! – თქვა ციყვმა
და ხის ფუღუროში დაიმალა.



– მეც, მეც გადამყლაპავს! მზეს ვერასოდეს ვნახავ! – თქვა პეპელამ და ყვავილში ჩაიმალა.

– ფეხებზე რომ შემომეხვიოს და წამაქციოს? – შეშინდა ირემი.



– კუდს მომწყვეტს და ბუმბულს გამაცლის. – ფარშევანგმა უკან დაიხია და გაიქცა.

– რა დროს ტირილია! დედა ჩიტი და ბარტყები უნდა გადავარჩინო! გველს შევებრძოლები და დავამარცხებ!



ზაზღუ ბურთივით დამრგვალდა, გაექანა და გველს ზედ დაახტა.
ზაზღუმ თავისი ბასრი ეკლებით დაჩხვლიტა გველი.

– ვაიმე... მეტკინაააა!.. – შეშინებული გველი ტკივილისაგან დაიკლაკნა, უკან გასრიალდა და გაიქცა.

– შენ ყველაზე მამაცი და უშიშარი მეომარი ხარ! მე
და ჩემი შვილები სიკვდილს გადაგვარჩინე. – უთხრა
დედა ჩიტმა ზაზღუს.

– რა კარგია, ტანზე ეკლები რომ გაქვს და იჩხვლიტები!
გველი დაამარცხე! – უთხრეს ბარტყებმა.



–შენ უნდა ამაყობდე, რომ ზღარბი ხარ! შენ რომ არა, დედას და ბარტყებს გველი შეჭამდა, – უთხრეს ცხოველებმა.

– დედა მართალი ყოფილა! – გაიფიქრა ზაზღუმ.
– რა კარგია, ზღარბი რომ ვარ, თანაც ასეთი ეკლებიანი და ჩხვლეტია.

ვიფიქროთ პატივისცემაზე

კითხვები დისკუსიისათვის:

- რატომ ტირის ზაზღუ?
- რა უთხრა დედამ?
- რა უთხრა ციყვმა, ირემმა, პეპელამ, ფარშევანგმა?
- ვინ ითხოვდა შველას?
- როგორ მოიქცა ზღარბი?
- რა უთხრა დედა ჩიტმა, ბარტყებმა და ცხოველებმა ზაზღუს?
- რატომ დაიმსახურა შექება ზაზღუმ?

განიხილეთ ფრაზა ბავშვებთან:

„კეთილი საქმეების კეთებით პატივისცემას ვიმსახურებთ“, რატომ?
რას ნიშნავს ეს?

სთხოვეთ ბავშვებს გაიხსენონ ის შემთხვევა, როდესაც კარგი საქციელის გამო შექება დაიმსახურეს და პატივისცემით მოეპყრნენ.

ჩამონათვალი სასურველია ჩამოიწეროს დაფაზე.

ჰკითხეთ ბავშვებს: როდესაც კეთილ საქმეებს ვაკეთებთ თავს კარგად ვგრძნობთ. რატომ?

აქტივობა:

ბავშვები ფურცელზე ხატავენ საკუთარ ხელს და გამოჭრიან მაკრატლით. ჰკითხეთ თითოეულ ბავშვს, რომელი კეთილი საქმეების გაკეთებას ისურვებდნენ საკუთარი ხელებით რეალურ ცხოვრებაში.

ბავშვები წერენ პასუხებს გამოჭრილ ხელებში და აწებებენ დიდი ფორმატის ქაღალდზე.

იქმნება კეთილი ხელების პოსტერი, რომელსაც აფორმებენ ნახატებით.

მოაწყვეთ „კეთილი ხელების“ პლაკატის პრეზენტაცია.